Class Atlas სისტემით
მომსახურების ხელშეკრულება №----

ქ. თბილისი -------2025

ხელშეკრულების მხარეები:

- ------ (შემდგომში "დამკვეთი").
- ------ (შემდგომში "შემსრულებელი").

1. **ხელშეკრულების საგანი**
   1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოფს დამკვეთის წვდომა მის მიერ შექმნილ სისტემაზე Class Atlas (შემდგომში „მომსახურება"), ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობების შესაბამისად.
   1.2. სისტემის ფუნქციები და მახასიათებლები, რაზე წვდომაც ხელშეკრულების ფარგლებში მიენიჭება დამკვეთს, განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი N1-ით.
   1.3. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. **მომსახურების ღირებულება**
   2.1. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი №2-ით.
   2.2. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თვეში ერთხელ, წინასწარ, არაუგვიანეს საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე.
   2.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
   2.4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე:
   ანგარიშის მფლობელი: ------ - GE------.

3. **მხარეთა ვალდებულებები**
   3.1. დამკვეთი ვალდებულია:
   3.1.1. სისტემით სარგებლობისათვის, მის სამუშაო სივრცეში უზრუნველყოს ელ. ენერგიისა და ინტერნეტის უწყვეტი კავშირის არსებობა. ვინაიდან, ნებისმიერი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია აღნიშნულის გაუმართაობით, შემსრულებელი იხსის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.
   3.1.2. გაითვალისწინოს, რომ მას წინამდებარე ხელშეკრულებით ენიჭება მხოლოდ სისტემით სარგებლობის უფლებამოსილება და არ წარმოეშობა რაიმე სახის საკუთრების უფლება სისტემაზე ან მის ნებისმიერ ტექნიკურ კომპონენტზე (მათ შორის საავტორო უფლებები);
   3.1.3. უზრუნველყოს მონაცემების სათანადო დაცულობა და არ გადასცეს სისტემაში შესასვლელი მონაცემები არაუფლებამოსილ პირებს და სიფრთხილით მოეპყრას სისტემაში შესასვლელ მონაცემებს, რათა არ მოხდეს მათზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომა;

3.1.4. განსაზღვროს და აკონტროლოს საკუთარი თანამშრომლებისთვის უფლებამოსილებების შესაბამისად სისტემაზე წვდომის ფარგლები;

3.1.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სისტემა გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, შემსრულებელთან წინასწარ შეთანხმებულ კომპანიაში (ან კომპანიებში) არსებული ადმინისტრაციული პროცესების მართვისა და კონტროლის მიზნით;

3.1.6. სისტემაში ფიზიკურ პირთა მონაცემების ატვირთვისას, ასევე მათთვის შეტყობინებების გაგზავნისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, გააფორმოს მათთან შესაბამისი თანხმობები და სრულად იკისროს პასუხისმგებლობა აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოქმნილ ზიანსა და ზარალზე. ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით, დამკვეთი სრულად აგებს პასუხს, მათ შორის უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის ბრალით შემსრულებელი დაჯარიმდება იმ საფუძვლით, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ექნება მოპოვებული მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის თანხმობა მისი პირადი მონაცემების დამუშავებაზე ან დაარღვევს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს;

3.1.7. აუნაზღაუროს შემსრულებელს ნებისმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც წარმოეშობა მის მიერ დაკისრებული ვალდებულებების არასრულად შესრულების გამო, მათ შორის ადმინისტრაციული/სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დაკისრებული ჯარიმების ან/და სხვა პასუხისმგებლობების გამო;

3.1.8. გაითვალისწინოს რომ მას ეკრძალება სისტემის გამოყენება კანონსაწინააღმდეგო მიზნებისათვის. დამკვეთი იძლევა გარანიტას იმის შესახებ, რომ მის მიერ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია არ დაარღვევს/შელახავს სხვა პირების უფლებებს, წინააღმდეგობაში არ მოვა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან;

3.1.9. არ გადასცეს მესამე პირებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი უფლებები და ვალდებულებები, შემსრულებლის წერილობითი თანხმობის გარეშე;

3.1.10. დამკვეთს ეკრძალება სისტემის ნებისმიერი ფორმით გაზიარება მესამე პირებისათვის, კოპირება/გამრავლება/ ან სხვა სახით არამიზნობრივი გამოყენება. ამ აკრძალვის ნებისმიერი ფორმით შეუსრულებლობა წარმოადგენს დარღვევას და გამოიწვევს დამრღვევი მხარის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. შემსრულებელი ვალდებულია:

3.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება;

3.2.2. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გაუწიოს დამკვეთს სისტემასთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურება/მხარდაჭერა;

3.2.3. გაუგზავნოს ყოველი თვის დასაწყისში ინვოისი დამკვეთს, ხოლო დამკვეთის მხრიდან თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება მიენიჭება მიიღოს გადაწყვეტილება დამკვეთის მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო სისტემაზე წვდომის შეჩერების ან გაუქმების შესახებ;

3.2.4. გარდა გაუთვალისწინებელი/გამოუვალი შემთხვევებისა, სისტემაზე პროფილაქტიკური სამუშაოები, დაგეგმოს და განახორციელოს ღამის საათებში (22:00 საათიდან - 08:00 საათამდე).

3.2.5. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს სისტემაში არსებული ინფორმაცია SQL ბაზის სახით. დამკვეთის მხრიდან, ამგვარი მოთხოვნა შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.2.6. დამკვეთის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 1.1.5. პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნის განუხორციელებლობის შემთხვევაში, გაანადგუროს სისტემაში არსებული მონაცემები.

3.2.7. უზრუნველყოს დამკვეთის მიერ ავტომატური შეტყობინებების გაგზავნის გენერირება, ამასთან წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთისათვის გამოყოფილი გასაგზავნი შეტყობინებების რაოდენობა განისაზღვრება თვეში არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) SMS შეტყობინებით. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი გადააჭარბებს აღნიშნული კონტრაქტით დადგენილი SMS ლიმიტის ოდენობას, იგი ვალდებულია განახორციელოს დამატებითი ანგარიშსწორება. 1 (ერთი) SMS შეტყობინების ღირებულება შეადგენს 0,005 ლარს.

4. დამკვეთის მიერ მხარვეზის დაფიქსირებისა და მხარდაჭერის მოთხოვნის წესი

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სისტემის ხარვეზის აღმოჩენისა და ზოგადად მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხის შემთხვევაში:

4.1.1. დამკვეთი ვალდებულია, წერილობითი ფორმით გააგზავნოს მოთხოვნა ან შეტყობინება შემდეგ ელ-ფოსტაზე: -------.

4.1.2. კრიტიკული სიტუაციების შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია შეტყობინება განახორციელოს ტელეფონით ნომერზე - 59-------.

4.1.3. დამკვეთი ვალდებულია მოამზადოს შეტყობინება სისტემის ხარვეზის შესახებ შემდეგი წესების შესაბამისად:

4.1.3.1. ხარვეზის ან პრობლემის მოკლე აღწერილობა მოცემული უნდა იყოს წერილის სათაურში (subject);

4.1.3.2. ელექტრონული წერილის ძირითად ტექსტში პრობლემა დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, ე.ი. მითითებული უნდა იყოს, თუ რა ქმედებები განხორციელდა ეტაპობრივად, აგრეთვე ინფორმაცია დამუშავებული მონაცემების სპეციფიკაციების შესახებ. დამკვეთი ვალდებულია, წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში კომპიუტერული ეკრანის გამოსახულება (print screen) დეტალების მითითებით;

4.1.4. წერილის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში შემსრულებელი უგზავნის დამკვეთს შეტყობინებას, რომ საკითხი მიღებულია განსახილველად. მოთხოვნის შეფასებისა და ანალიზის ვადაა 2 (ორი) სამუშაო კვირა, რომლის გასვლის შემდეგ შემსრულებელი ატყობინებს დამკვეთს მოთხოვნის განხორციელებისათვის საჭირო ვადის შესახებ მოთხოვნის ელექტრონულ წერილზე პასუხის (reply) სახით. მოთხოვნის შესრულების ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული მოთხოვნისათვის და მიეწოდება დამკვეთს ანალიზისა და შეფასების სტადიის დასრულების შემდეგ.

5. საავტორო უფლებები

5.1. სისტემის ყველა კომპონენტზე, მათ შორის პროგრამულ მოდულზე საავტორო ქონებრივი უფლებები ეკუთვნის შემსრულებელს, თუკი დამკვეთი ან მასთან აფილირებული პირი არღვევს შემსრულებლის საავტორო უფლებებს დამკვეთს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. დამკვეთს შემსრულებლის წერილობითი თანხმობის გარეშე ეკრძალება სისტემაში არსებული იმ მასალების, გავრცელება, ასევე ხელშეკრულების მიზნისგან დამოუკიდებლად გამოყენება, რომლებიც სისტემაში არ არის ატვირთული მის მიერ.

5.3. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებელი არ ახდენს დამკვეთის მიერ ატვირთული მონაცემების დამუშავებას. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთს დასჭირდება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შემსრულებლის ჩართულობა, დამკვეთი ვალდებულია წერილობით დააფიქსიროს მოთხოვნა და აღნიშნულის შემდგომ ენიჭება შემსრულებელს უფლებამოსილება განახორციელოს აღნიშნული საკითხი.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

6.2. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთს მომსახურებას გაუწევს 2025 წლის -- ------- 1 (ერთი) წლის ვადით; იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2 (ორი) კვირით ადრე მხარეები არ გამოხატავენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, წინამდებარე ხელშეკრულება გაგრძელდება ყოველი 1 (ერთი) წლის ვადითა და შეთანხმებული პირობებებით.

6.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

6.3.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

6.3.2. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისთვის 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე;

6.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

6.3.4. დამკვეთი არ არის უფლებამოსილი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა. დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის გასვლის შემდეგ.

7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში თუ დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მოლაპარაკებების გზით, მხარეები კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

8. ზოგადი დებულებანი

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისთვის, რწმუნებულისთვის, დამხმარე-მოსამსახურე და მუშაკისათვის.

8.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

8.4. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.

8.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მხარეთა შორის შესაძლოა განხორციელდეს

ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტების მეშვეობით, რასაც ექნება იურიდიული ძალა. ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის დღეს.

8.6. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“	**„შემსრულებელი“**
შპს ----	**შპს ----**
ფაქტ. მის: ----	ფაქტ. მის: ----
Email: ----	Email: ----
დირექტორი:	**დირექტორი:**
-----	**-----**
----------	**----------**

Class Atlas სისტემით
მომსახურების ხელშეკრულება №----
დანართი №1

ქ. თბილისი -------2025

Class Atlas არის თანამედროვე ციფრული პლატფორმა, რომელიც სპეციალურად არაფორმალური განათლების სექტორისთვისაა შექმინილი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და ფინანსური პროცესების სრულად ავტომატიზაცია. ის საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, სტუდიებსა და აკადემიებს მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ დრო და რესურსები.

სისტემის მახასიათებელი:	**ტექნიკური შესაძლებლობა:**
მოსწავლეთა ციფრული რეგისტრაცია და მონაცემთა მართვა	• მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემების რეგისტრაცია ონლაინ • პერსონალური პროფილები და მონაცემების სეგმენტაცია • დასწრების აღრიცხვა და ავტომატური დაარქივება • მოსწავლის პროგრესის, მიღწევებისა და ჩართულობის ისტორია
ჯგუფების, განრიგებისა და საათების მართვა	• გაკვეთილებისა და აქტივობების განრიგის შედგენა • ჯგუფების შექმნა და მათი ადმინისტრირება • ინსტრუქტორების დანიშვნა კონკრეტულ სესიებზე • ცვლილებების მარტივი შეტანა და ავტომატური შეტყობინებები
მშობლებთან და მომხმარებლებთან კომუნიკაცია	• ავტომატური შეტყობინებები გაკვეთილების, ცვლილებების ან გადახდების შესახებ • გადასახადების შეხსენებები და შეტყობინებები დავალიანებაზე • პირადი მესიჯები და ჯგუფური კომუნიკაცია მშობლებთან • ინფორმაციის გამჭვირვალე და სტრუქტურირებული მიწოდება
ფინანსური მენეჯმენტი	• გადასახადების ავტომატური გენერაცია თითოეულ მოსწავლეზე • ინვოისების შექმნა, გაგზავნა და გადახდების კონტროლი • დავალიანებების მონიტორინგი და სტატისტიკური ანალიტიკა

	• ანგარიშგება შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით
ღონისძიებების კალენდარი და ავტომატიზაცია	• ღონისძიებების დაგეგმვა და მონაწილეობაში ჩართულობა • ადმინისტრაციული ამოცანების ავტომატიზაცია • პერიოდული ამოცანების გრაფიკი და შემხსენებლები

--- ---

Class Atlas სისტემით
მომსახურების ხელშეკრულება №----
დანართი №2

ქ. თბილისი -------2025

ხელშეკრულებით განსაზღვრული სისტემის Class Atlas ღირებულება განისაზღვრება…..

მოსწავლეთა რაოდენობა	ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით
1 -100	
101- 150	
151 - 300	

---------- ----------